კვირა 1919 წ. თიბათვის 1 № 111
წელიწადი მეხუთე

კვირა 1919 წ. თიბათვის 1 № 111
ფასი 2 მან.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ერთობ—120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1[1]/[2] საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ყურადღება!..

ყურადღება!

ყურადღება!

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

## დაწმენდილი არაყი და კახური ღვინო

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი: ვაგზლის ქ. 6. ტელეფ. 1—97.

(25—86—4)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო (ბურდლა), რძალი ვერა (კუკუ), შვილები—კონსტანტინე (კოკო), მიშა, აპოლონ და ასული დომინიკა (ფაჩუ) თვალთვაძისა, სიძე პროკოფი თვალთვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მოყვარეთ, რომ სოფ. ტალერში (სალხინო, სენაკის მაზრა) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 12 მაისს გარდაიცვალა

**კოსტა ივანეს ძე კეშელავა**

დაკრძალვა დანიშნულია მაისის 21-ს ძველი სტილით დღით სამშაბათს, ადგილობრივ ეკლესიის გალავანში.

(2—2406—2)

უსამზღვროდ დამწუხრებულნი და თავზარდაცემულნი დეკანოზი იოსებ ილიას ძე ბერიძე, მეუღლე მისი სოფიო იოსების ასული და შვილები: ნინო, ნატო და ვახტანგი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი უსაყვარლესი შვილის, ხოლო მეორენი დაუვიწყარი, ტკბილი ძმის

**ალექსანდრეს (შურას)**

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათ. საკუთარ ბინაზედ კუკიის წმ. ნინოს საეკლესიო სახლში. გამოსვენება მოხდება სამშაბათს 3 თიბათვეს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე დღეს ამავე ეკლესიის სასაფლაოზე.

(2—2410—1)

ნიკოლოზ იაკობის ძე, აგრაფინა დიმიტრის ასული (გოგოშკა), ვარია, ვალია, მარი და კოტიკი ვაშაძენი, ოლღა ნიკოლოზის ასული და პავლე თედორეს ძე ლვოვები ქალიშვილით და ანასტასია ნიკოლოზის ასული ოხოტნიკოვი შვილით, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის საყვარლის ცოლისა, მეორეთა რძლისა, მესამეთა სიდედრისას და უკანასკნელის ბებიისას

**მარიამ სოლომონის ასულის ვაშაძისას**

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან, ტურგენევის ქუჩა, № 6, წმ. ნიკოლოზის საყდარში დღეს, 1 ივნისს, 10 საათზე, ხოლო დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1—2411—1

ორმოცი დღის შესრულების გამო კვირას 1 ივნისს დილის 12 საათზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში.

**პოლია პროკოფის ასულის**
**კონტრიძისა**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხრებული ქმარი: მიხეილი ეგნატეს ძე კონტრიძე თავის პატარა ქალით თინათინით. და ალექსანდრა პროკოფის ასული, სიძე: იასონ ალექსისძე და დის შვილები: შალიკო და ლილი კალოიანები

(1—2409—1)

## მომღერალთა საყურადღებოთ!

ქართ. სამუსიკო საზ-ბამ და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა დაარსა

## კაპელა

ხმის გასინჯვა სწარმოებს ყოველ დღე 12—1 საათამდე. აქვე პირობების ცნობა ეძლევა, ქართ. სამუსიკო სკოლა, სლეპცოვის ქ. № 4.

(3—90—3)

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის გამგეობა

აცხადებს, რომ რადგან 25 მაისს 1919 წ. კავშირის წევრთა საზოგადო კრება არ შესდგა,

## მეორე კრება

დანიშნულია ამა წლის 1 ივნისს დილის 10 საათზე კავშირის ბინაზე (ფრეილინის ქ., № 11), რომელიც, თანახმად წესდების მე-18 მუხ. კანონიერად ჩაითვლება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

განსახილველი საგნები: 1) ანგარიში საბჭოსი და გამგეობის მოქმედებისა და კავშირის შემოსავალ-გასავლისა.
2) საკითხი შესახებ კავშირის არსებობისა.
3) სარევიზიო კომისიის არჩევა.

3—87—3

## ქართული კლუბი

კვირას, ივნისის 1-ს, ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება საინტერესო იგავი

## მზის საიდუმლო

1. მოქმ. ჰეიერისა. აგრეთვე იქნება წარმოდგენილი სამი მინიატურა „მზის საიდუმლოში". მხევლის როლს შეასრულებს ბარონესა კლეისტ-მირიმანოვისა სპეციალური ცეკვით ბოლოს ელო ანდრონიკაშვილის საუკეთესო მოწაფენი შეასრულებენ

**ლეკურს**

მონაწილეობენ: ქ-ნი ნინო დავითაშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, აბაზაძე, ბ-ნი ვალ. გუნია, პლატ. კორიშელი, დ. ჩხეიძე, აბდუშელი, თარალაშვილი, ჯიქია და სხვა.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. ✦ ბილეთები ამ თავითვე იყიდება კასაში.
2—91—2

## სახელმწიფო თეატრი

## სეზონის დახურვა

დღეს, 1 თიბათვეს, დილით მოლჩანოვის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება

## ჰოფმანის ზღაპრები

საღამოთი უკანასკნელი წარმოდგენა

## კარმენი

საქარ. სატრანსპორტო საზოგადოება

აცხადებს, რომ 1919 წ. 6 ივნისს, პარასკევს, საღამოს 6 საათზე, ყოფილ სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქუჩა № 11) დანიშნულია.

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების აქციონერთა

## საზოგადო კრება

განსახილველია:

1. გამგეობის მოხსენება შესახებ საქმის მდგომარეობისა;
2. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა;
3. საზოგადოების დამფუძნებელთა კრების წინადადება შესახებ საბჭოს დაარსებისა და შესაფერი ცვლილების შეტანისა საზოგადოების წესდებაში;
4. გამგეობის 3 წევრისა და მათი 3 კანდიდატის არჩევა;
5. სარევიზიო კომისიის 6 წევრისა და მათი 6 კანდიდატის არჩევა.

—:—

უკეთუ ეს კრება არ შესდგა აქციონერთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო, შემდეგი კრება ინიშნება იმავე ბინაზე 1919 წ. 7 ივნისს საღამოს 6 საათზე. ეს უკანასკნელი კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი აქციონერიც უნდა დაესწროს მას (წესდ. § 71). 3—77—3

# უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა საპასუხო საზავო წინადადებანი გერმანელებმა ვერსალში ხუთშაბათს ჩააბარეს.

ფიუმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცხადდება, ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ.

ზარა და სებენიკი იტალიას გადაეცემა ხოლო თავის მხრით იტალიამ უნდა დასთმოს დალმაციის სანაპიროები. იტალიასვე გადაეცემა ფიუმეს ახლოს მდებარე კუნძულები და უფლება ალბანეთში უპირატესობისა.

საბჭოთა ჯარმა ასტრახანიდან 140 ვერსზე მდებარე ხარახუროვსკაია ბრძოლით დასტოვა.

## ვემზადოთ ისტორიული როლისთვის

უღირსად გაეცალა და დასტოვა მთიულეთი მისმა მთავრობამ, დენიკინთან შუაგულ ბრძოლაში. ასე მუხანათურად უმეთაუროდ დაგდებული მთა დენიკინმა ხელში ჩაიგდო და სამხრეთისკენ გზა გაიკაფა. დენიკინი აზერბეიჯანის საზღვარზეა მომდგარი. დღე დღეზე უნდა ველოდეთ ამ საზღვრის გადმოლახვას და ზედ ბაქოს კარებზე დენიკინის ლაშქრის მიდგომას. ამის შემდეგ საქართველოზე გამოლაშქრება მხოლოდ მორიგი გუნების საქმეა; და ეს კი ბევრს არ დაიგვიანებს, ვინაიდან საამისო გუნებაზე დიდი ხანია, რაც გენერალი დენიკინი დგას კიდეცა. დენიკინი თავის მიზნის მისწრაფებით ნამდვილი საფრთხეა საქართველოსთვის. მას მოაქვს ჩვენი ეროვნული მონობის უღელი და რუსის ჟანდარმის ქუსლი, რომ წაგვიბილწოს ყოველივე, რაც ჩვენთვის ღვთიურია და წმიდა. ბრძოლის ველი დაგვიმტკიცებს, თუ რამდენად შესძლებს ამას დენიკინის მხედრობა, მისი რეალური ძალა. დენიკინის ჯარი ნაყარ-ნუყარი ნაფოტების გროვაა. სხვა და სხვა მხარიდან, სხვა და სხვა ჯარის ნაწილებიდან გამოსული და გამოქცეული პირებისაგან შემდგარია იგი. სხვა და სხვა რჯულის ხალხია მის ბანაკში მოქცეული. არა იდეა აკავშირებს და აფრთოვანებს ამ ხალხს, არამედ სასყიდელი და თავის რჩენა; დენიკინი მოკავშირეთა ფულით თავშესაფარად გადაიქცა ულუკმაპუროდ დარჩენილი ოფიცრობისა. უმიზნობა და ზნეობრივი უმტკიცობა ყოველგან თან სდევდა მოხალისეთა ლაშქარს, რომელიც ყოველ შეტაკებაში მარცხდებოდა კიდეცა, მიუხედავათ რიცხობრივი უპირატესობისა. უკანასკნელი გამარჯვება დენიკინისა დაღესტანზე, უფრო შედეგია მთიელთა მთავრობის მუხანათობის, ვიდრე მოხალისეთა მამაცობისა. თავისუფლების მოყვარული მთა ნახევარ საუკუნეზე მეტს ებრძოდა რუსეთის იმპერიის საუკეთესო ჯარებს და მარცხსმარცხზე აყენებდა.

მოხალისეთა დაქსაქსული და ზნეობრივად გატეხილი ჯარი მთას ქედს ვერ მოადრეკიებს და მისი დროებითი მარცხი, შედეგი მისიანთა მუხანათობისა, მალე გამარჯვებაზედ შეიცვლება. დამოუკიდებლობის ღვთაებით განათებული მთა კვლავ აღსდგება იარაღით. მისი დაუცხრომელი სული მიაგნებს თავის შამილს.

მთიდან დაშვებულ დენიკინს გზაზედ დახვდება აზერბაიჯანი და საქართველო.

ჩვენის მხრით არ იქნება დაზოგვილი არავითარი მსხვერპლი, არც კაცით, არც ფულით; საქართველოს მხედრული სულის სალეგენდო სიმტკიცე და გმირობა, საუკუნეთა განმავლობაში დამოუკიდებლობას რომ გვიცავდა, სხვადასხვა მიზეზით ვერ გამომჟღავნდა იმ ომებში, რომელიც სხვა და სხვა ფრონტზე ვაწარმოეთ დამოუკიდებლობის ერთი წლის სიგრძეზედ. ბრალი და დანაშაული ჩვენს მართველ სოციალ-დემოკრატიას მიუძღვის, რომელიც ყოველთვის აყალბებდა ერთის მხრით საქართველოს თავდაცვის მიზანს და მეორეს მხრით მტრის იარაღის მიზან-დანიშნულებას.

დენიკისის შესამუსრავად, მართველი სოციალ-დემოკრატია იძულებული იქნება იწამოს სამშობლო და მისი ღვთაებრიობა, თუ სურს ჩაწვდეს საქართველოს მრავალ ათასწლოვან სულის სიღრმეს და ერი აღაფრთოვანოს, წამოშალოს და გაარწიოს.

„სამშობლოსათვის!“ „სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის;“ აი ის ჯადო-ლოზუნგი, რომელიც ისტორიული სტიმულია ქართველი ხალხის და მისი ტრადიციის ძლიერება. ეს ლოზუნგი ყოველ სამრეკლოდან ზარის წკრიალმა უნდა მიუტანოს ყოველს იარაღის ზიდვის შემძლე ქართველს. მან უნდა შეარხიოს კიდით-კიდე ჩვენი საყვარელი ქვეყანა და მაშინ ნახავთ, თუ რა შეუძლიან ქართველ ერს. საქართველომ დენიკინზე უნდა გაიმარჯვოს და გაიმარჯვებს კიდეც. გვაქვს ამისი ფიზიკური ძალა. კიდევ უფრო მეტი მორალური სიმტკიცე და იდეიური საბუთი.

საქართველო შუაგულია მთელი კავკასიის, როგორც პოლიტიკური, ისე ტოპოგრაფიული საქართველო დღეს უნდა გადაიქცეს აგრეთვე ეროვნულ თავისუფლების ცენტრად მთელი კავკასიისათვის და თავის მაღალ აღმაფრენაში ჩაიყოლიოს მთაც, აზერბაიჯანიც და სომხეთიც, რომ დამარცხებული უკუ აქციოს ჩრდილოდან გადმოსული მოხალისეთა ჯარი, რომელსაც მოაქვს ამიერკავკასიის ხალხებისათვის მონობის უღელი და ცინიკური დაცინვა.

კავკასია თავის ცენტრით — საქართველოით — მტერს გასტეხს და დამოუკიდებლობას შეინახავს.

საქართველომ თავის ისტორიული როლი უნდა ითამაშოს და ითამაშებს კიდეც, თუ რომ მთავრობამ და მისმა პარტიამ ეხლაც არ განიმეოროს ძველი შეცდომები.

ერისა და მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა მთავრობას დროზე შესძახოს: „გონს მოდი!“

## მენშევიკების „პატრიოტიზმი“

„ერთობის“ ანონიმი პუბლიცისტები, რომელნიც კოლექტიურათ გამოხატავენ მენშევიკების პარტიას და დამფუძნებელ კრებას, დატრიალდენ ახალ კარუსელებში. და დენიკინის საფრთხის წინაშე დაებნათ ენა.

მენშევიკები მუდამ გმირობაზე გაჰკივიან და ნამდვილათ კი ეს პარტია შედგება რევოლუციის ყველა ფრონტებზე დამარცხებულ „პერებეშჩიკებიდან“, რომელთაც საქართველო სამშვიდობო ადგილათ მიიჩნიეს და საკუთარ თავის გადარჩენის და პრესტიჟის შერჩენაში ისე შორს წავიდენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს.

როცა ის თაობა, რომელიც იწამა საქართველოს განთავისუფლების იდეისთვის თავის იდეოლოგიურ პრიორიტეტზე ალაპარაკდა და ბედით განთავისუფლებულ სამშობლოში თავის ადგილი მოიკითხა — სწორეთ ეს ნამდვილი პატრიოტები დარჩენ უსაქმოთ და ყოვლის შემძლე მენშევიზმა კანონის გარეშე დააყენა მთელი ინტელიგენცია.

რასაკვირველია ოპოზიციის წარმოება მენშევიკების წინააღმდეგ ძნელი არ იყო, არსებითად ყოველ სახელმწიფოებრივობას მოკლებული უნიჭო და უცოდინარი ხალხი ჩაუდგა სახელმწიფოს სათავეში. ბრძოლა მაგრამ მათ წინააღმდეგ — ამავე დროს სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლათ გამოვიდოდა. მენშევიკები ამით სარგებლობდნენ ისინი ვერ მოერიდნენ ამ მდგომარეობის ექსპლოატაციას და უსინიდისოთ დღესაც განაგრძობენ ამ გზას.

როცა ომი ჰსტყდებოდა, როგორც მაგალითათ ომი სომხებთან, ეროვნულათ მოაზროვნე ინტელიგენცია დარწმუნებული იყო, რომ საქართველოსთვის ბრძოლა ეროვნულად მენშევიკების განმტკიცებისთვის ბრძოლაა რომ მენშევიკები გამოიყენებენ მოურიდებლათ ხალხის გმირობას და მდრომას, ინტელიგენციის თავგანწირვას, ომის თავისთვის სასარგებლოთ დაათავებენ და შემდეგ სამართალში მისცემენ სახელმოხვეჭილ გენერლებს ბონოპარტიზმში ეჭვ მიტანილს, მაგრამ ეს კოლიზია მაინც ისე გაიხსნა — რომ საქართველოს იდეიამ გაიმარჯვა — და მართალია მენშევიკებმა სამარცხვინო ზავი შეჰკრეს, მაგრამ ეროვნული კატასტროფა მაინც თავიდან იქნა აცილებული.

გარემოებით წელ-გამაგრებული მენშევიზმი — თავის თავს უთანაბარებს დამოუკიდებლობას და მის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც პარტიის წინააღმდეგ — აცხადებს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლათ.

მაგრამ საკმარისია გამოჩნდეს რაიმე გარეშე საფრთხე, რომ მენშევიკების ბელადებმა გონი დაჰკარგონ და ენა დაებათ.

ოსმალეთის შემოსევის დროს ვის არ ახსოვს, რა პანიკა დაატრიალეს მენშევიკებმა და როგორ სირცხვილში ჩააგდეს საქართველო და როცა მოულოდნელად გამოჩნდა ისეთი ძალა, რომელმაც გადაარჩინა საქართველო ამ სირცხვილს, შემდეგ ესცე მენშევიკებმა თავის-თავს მიაწერეს.

დღესაც დენიკინი მოადგა საქართველოს და მენშევიკები შედრკენ კიდეც და იქამდის მივიდნენ, რომ 28 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სწერენ წერილებს. რასაკვირველია, დენიკინის წინ არ გამოადგებათ მენშევიკებს თავიანთი რეზოლიუციები, რომელზედაც ასე უყვართ დამყარება და თავის მართლება, როგორც ანტანტის წინ იმართლებდენ თავს — მაშინ სხვა რა აზრი აქვს ამაზე წერას, თუ სამუდამოთ არ ამოწურულა ყოველივე მორალური პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე? მართალია გუშინდელ ნომერში „ერთობა“-მ თავის ისტორიულ წერილებს კიდევ მოუმატა ერთი წერილი „საქართველოს დამოუკიდებლობა და პროლეტარიატი“, რომელიც ცდილობს რევოლიუციის პრესტიჟის აღდგენას, — მაგრამ ეს კიდევ უფრო უიმედო საქმეა.

მაგრამ უჩვეულოთ გათამამდენ „სემენარიელი მაკიაველები“. ხოლო როდემდის?... მოტყუებული რევოლუცია — მოტყუებული პატრიოტიზმი და ყველაზე უფრო მოტყუებული ქართველი ხალხი.

## პრესსა

**მენშევიკები და სპეკულიაცია.**

გაზეთ „ერთობის“ მკითხველს ყოველ დღე ახალ-ახალი უცნაურობა ელის, იმდენათ ცვალებადი და აბნეულია ამ გაზეთის ხელმძღვანელთა აზრები.

ეს გაზეთი ერთს დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველად გამოდის, მეორე დღეს ეს დამოკიდებულობა დემოკრატიისათვის შეუძლებელ საქმეთ მიაჩნია.

ერთს დღეს, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენებით გატაცებული სრულებით შორდება თავის პარტიულ პრინციპებს, მეორე დღეს გაკვირვებული მკითხველი წითელი სოციალისტის გზა-აბნეულ ფანტაზიებს კითხულობს: და ბოლოს არ იცი, თუ ვისთან გაქვს საქმე: პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, თუ უპასუხისმგებლო მწერლებთან.

„ერთობის“ უკანასკნელი ლახვარი ბურჟუაზიას სწვდა.

თურმე ნუ იტყვით და „როცა დემოკრატია თოფით ხელში თვეობით ფრონტზედ სდგას, ჩვენი „ნორჩი ბურჟუაზია სპეკულიაციით თვრება“.

ჩვენ არ გვინდა ამ წერილს არსებითად შევეხოთ, რადგან ეს ამონაწერნიც საკმარისია, რომ იქ მხოლოთ არსებითი სისულელე დავინახოთ, თორემ რას ნიშნავს ეს „ბურჟუაზიის სიმთვრალე“?

„ერთობამ“ კარგათ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულია კანონი საქართველოს სამხედრო სამსახურში გასაწვევთა შესახებ და ეს კანონი არავითარ განსხვავებას არ აძლევს ბურჟუაზიას, თუ დემოკრატიას.

ყოველი მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე და ერთნაირათ იხდის თავის მოვალეობას.

მხოლოთ არის ხალხი, რომელიც მენშევიკების პარტიის წყალობით იტენის დღეს ჯიბეებს და სხვა და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზედ სამსახურით ინთავისუფლებს თავს ამ მოვალეობისაგან.

ახალი ფორმაციის „ბურჟუაზიაც“ და სპეკულიაციაც აი აქ უნდა მოიკითხონ.

როდესაც „ერთობა“ სიმთვრალისა და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ ილაშქრებს, ჯერ თავისი ბინა უნდა გაიწმინდოს და შემდეგ სხვაგან ეძიოს.

ოფიციალური ბურჟუაზია აქ არაფერ შუაშია.

## კანონ-პროექტი

**სახელმწიფო მოხელეებისა და მოქალაქეთა უფლებების შესახებ.**

მთავრობამ წარუდგინა განსახილველად კანონ პროექტი სახელმწიფო მოხელეების და მოქალაქეთა უფლების შესახებ.

მუხლი 1. ყოველ თანამდებობაზე მიღებულ იქმნას მოქალაქე თუ იგი კანონში აღნიშნულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

მუხლი 2. მოხელე შეიძლება გადაყენებულ იქმნეს თანამდებობიდან იმ ორგანოს განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული, სრულებით დათხოვნა შეიძლება სასამართლოს ან იმ ორგანოთა დადგენილებით, რომელსაც აქვს უფლება მინიჭებული ექნება კანონის მიერ.

მუხლი 3. მოხელეს მიენიჭება უფლება პენსიისა თუ მის ოჯახის წევრების მიერ პენსიის მიღების კანონებს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 4. თვითეული მოხელე პასუხის მგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესის მიხედვით.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს პასუხის გებაში მისცეს მოხელე სათანადო დანაშაულისათვის.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მოხელეს მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს მოსთხოვოს.

## კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

ხუთშაბათს, მაისის 29-ს, კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების მორიგი სხდომა შესდგა. მთავარი საკითხი კონფერენციის სხდომისა ეხებოდა დენიკინის ჯარების მიერ დაღესტნის გადალახვას და ბაქოზე შეტევას. არავითარი დადგენილება კონფერენციის წევრებს არ წარმოუდგენიათ, ამისთვის კონფერენციას წმინდა კონფირმაციული ხასიათი ჰქონდა.

# ქრონიკა

**დღეს, დილის 11 საათზე, მთავარ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტისა და დამფუძნებელ კრების ფრაქციის კრება. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები.**

**დამფუძნებელი კრების არა ჩვეულებრივი სხდომა.** დღეს ნაშუადღევის 1 საათზე შესდგება არა ჩვეულებრივი სხდომა დამფუძნებელი კრებისა. მოხსენებას გააკეთებს გარეშე საქმეთა მინისტრი. მიმდინარე მომენტის შესახებ.

**საბაჟოს განყოფილება.** ფინანსთა სამინისტრომ დაადგინა თბილისის სადგურთან გახსნას საბაჟოს განყოფილება, რათა გაადვილონ რკინის გზაზე გადასატან საქონლის საბაჟო ოპერაციები. ოპერაციების საწარმოვო ხარჯისათვის განყოფილება გადაახდევინებს ფუთზე თითო კაპეიკს. ამასთანავე განზრახულია ასეთი განყოფილებანი გახსნან სხვა დანარჩენ დიდ სადგურებთანაც.

**ახალგაზრდობა ბაქოსაკენ.** ამ უკანასკნელ ხანებში ბაქოსაკენ დიდძალი ახალგაზრდობა მიდის. მიდიან განსაკუთრებით ოფიცრობა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში დიდძალი თხოვნები შედის ბაქოში წამსვლელდთა მიერ რესპუბლიკიდან გასავალ ნებართვისათვის.

**სტუდენტთა დრამატიული საზოგადოება.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტ. ზ. ჩიხლაძის ინიციატივით დაარსდა ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა დრამატიული საზოგადოება. პირველი კრება შესდგა პარასკევს, 30 მაისს. განიხილეს წესდება, აირჩიეს გამგეობა და სარევიზიო კომისია.

**ქართ. მხატვართა გამოფენაზე.** ქართველ მხატვართა სურათების გამოფენას შეემატა რამოდენიმე ახალი სურათები. ვლ. გუდიაშვილისა, ალ. მრევლიშვილისა, შ. ქიქოძისა და თოიძისა. გამოფენა დაიხურება 4 თიბათვეს 6 საათზე.

**ახალი წიგნი.** ამა წლის შემოდგომაზე გამოიცემა ქართულს ენაზე ცნობილი თხუზულება პროფ. ილია მეჩნიკოვისა Études lur la nature zumaine“ — ადამიანის ბუნებისათვის — თარგმანი მკურნალ ივანე ელიაშვილისა. ამ თხუზულების გამოცემა უკისრია ცნობილ მრეწველსა და მილიონერს ბ-ნ ა. მ. ხოშტარიას.

### განათლების სამინისტროში

**საზღვარ-გარედ სტუდენტების გაგზავნის შესახებ.** განათლების სამინისტროში აუარებელი თხოვნები შედის სტუდენტებიდან საზღვარ გარედ გაგზავნის შესახებ.

**ცაგერის სკოლისთვის.** ლეჩხუმის სამაზრო ერობა სთხოვს განათლების სამინისტროს მისცეს მათ 20,000 მ. იმ ზარალთა ასანაზღაურებლად რომელიც ბოლშევიკებმა მიაყენა ცაგერის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს.

**მოწმობების მისაღები გამოცდები.** თბილისის ქალთა მერვე საეპარქიო გიმნაზიაში მოწმობების მისაღებად გამოცდები დანიშნულია 10 და 11 ივნისს.

**კავკასიის მუზეუმის საკითხი.** განათლების სამინისტროსთან საგანგებო კომისია იმუშავებს პროექტს კავკასიის მუზეუმის რეორგანიზაციის შესახებ.

### შინაგან საქ. სამინისტროში

**მილიციის შტატის პროექტი.** საქართველოს ერობათა ცენტრალურმა ბიურომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა პროექტი ადმინისტრაციის შტატების შესახებ. ამ პროექტით მილიციის უფროსს ეძლევა ჯამაგირი 1600 მან. უფროს ცხენოსან მილიციელს — 1050 მან. უმცროს ცხენოსან მილიციელს — 1000 მან. ქვეითა უმცროს მილიციელს — 600 მან. სოფლის მილიციელს — 400 მან. სულ მილიციის შესანახი ხარჯები უდრის — 13,135,113 მან.

**თბ. ქალაქ. მოურავ. შუამდგომლობა.** თბილისის ქალაქის მოურავი შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობს, რათა სამინისტრომ თავს იდოს მილიციისთვის საჭირო ხარჯების 75 პროც.

**ახალქალაქის ადმინ. შტატი.** შინაგან საქმეთა სააცმინისტრაციო განყოფილებამ შეიმუშავა ახალქალაქის ადმინისტრაციის შტატების პროექტი, რომელიც სახელმწიფო კონტროლიორს გადაეცა დასკვნისათვის.

**გაზეთების დახურვა.** შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: კავეცანი რა იმ ყალბ ცნობებს, რომლებიც სისტემატიურად თავსდებოდა გაზეთ „ტიფლისკაია გაზეტა“-სა და „ნოვოსტი დნია“-ში, მოხალისეთა ჯარის შავი ზღვისა და კასპიის ზღვის მხრით მსვლელობის შესახებ, ვღებულობ რა მხედველობაში, რომ ეს ცნობები ემსახურება იმ მიზანს, რომ გამოიწვიოს მშვიდობიან მცხოვრებლებში არევ-დარევა და მათი სულიერი სიმშვიდის დარღვევა, რათა ხელი შეუწყონ რესპუბლიკის მტრებს. ვბრძანებ, გაზეთი „ნოვოსტი დნია“ და „ტიფლისკაია გაზეტა“ დახურულ იქმნან და მათი რედაქცია-კანტორები დაიბეჭდონ. შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

### კრებები.

— დღეს, კვირას 1 ლ თიბათვეს, თბილისის წმ. მარინის ეკლესიაში დანიშნულია მედავითნის ასარჩევად კრება, რომელიც, როგორც მეორედ დანიშნული, კანონიერად ჩაითვლება დამსწრეთა ყოველივე რიცხვით.

— კვირას, 1 ივნისს დილის 11 საათზე ქართ. კლუბის დარბაზში დანიშნულია წლიური კრება ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა. დღიური წესი. დ არაყიშვილის მოხსენება სამუსიკო აკადემიის შესახებ, ილ. აბაშიძეს მოხსენება, წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა და სხვა.

### ბოროტ მოქმედებანი.

**ქურდობა.** 30 მაისს, შუადღის 2 საათზე, ატენის ქუჩაზე მცხოვრებ ეკატერინე პავლოვის ბინიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები 20,000 მანეთის.

— გოგოლევის ქუჩაზე მცხოვრებმა ნ. ბობრიკოვისამ მილიციაში განაცხადა რომ 30 მაისს ღამით მისი სახლის სარდაფიდან 700 ცარიელი ტომარი მოიპარეს. ეჭვით დააპატიმრეს რაშიბ მიხელო ოღლი და არ ხალილ ოღლი.

**ქურდების დაჭერა.** 1 კომისარიატის მილიციელებმა 29 მაისს დაიჭირეს ე. სარიჩევისა, გევხიევი და მ. ვოსტინი, რომლებმაც თებერვალში გაბურღეს სიმხოვიჩის ბინა. დაჭერილებს ყველა მოპარული ნივთები აღმოაჩნდათ.

— კომისარიატის მილიციელებმა დაატუსაღეს ჯგუფი ქურდებისა, რომლებიც ყოველ ღამე იპარავდნენ ელექტრონის ლამპებს. მათ აღმოაჩნდათ 130 ელექტრონის ლამპა.

### სამხატვრო ქრონიკა

**გიორგი იმხნელის ათი წლის ბენეფისი.** ოთხშაბათს 4 თიბათვეს სახელმწიფო თეატრში შესდგება გიორგი არადელი — იმხნელის ბენეფისი სცენაზე ათი წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, წარმოდგენილი იქნება „ღალატი“. პიესას დაადგამენ რეჟისორები. ალ. წუწუნავა და კოწ. ანდრონიკაშვილი.

**ახალი პიესა ა. ბლოკისა.** გამოვიდა ცალკე წიგნაკად ალექსანდრე ბლოკის პოემა „თორმეტი“ და „სკიფი“. იყიდება ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში (გამოცემა „ფენიქსისა).

**ქართ. სამუსიკო საზოგადოების გუნდი.** ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობის დავალებით ბ. ქ. ფოცხვერაშვილმა შეადგინა მომღერალთა გუნდი, რომელიც პირველად 26 მაისს გამოვიდა. 29-ში გაიმართა კონცერტი სახელმწიფო თეატრში, რის შემდეგაც ეს მომღერალთა გუნდი იწარმოვებს, როგორც ქართ. სამუსიკო საზოგადოების გუნდი.

**სახელოვნო ცენტრი.** დაარსდა სახელოვნო ცენტრი, რომელშიაც შედის ოთხი ხელოვნების დარგის წარმომადგენელნი: მწერლობისა, მუსიკისა, მხატვრობისა და მსახიობთა კავ-

## „აბესალომ და ეთერი“

**მხატვრულის თვალსაზრისით.**

ნებას ვაძლევ ჩემს თავს ორიოდე სიტყვა ვსთქვა ბ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერზედ“, ხოლო არა ოპერის მუსიკალურ მხარეზედ, არამედ მის მხატვრულ მხარეზედ. ამ ოპერის მუსიკა ქართულმა საზოგადოებამ კეთილ-განწყობით მიიღო, აგერ მეთხუთმეტედ დაიდგა ეს პიესა და დაუღალავად ხალხით სავსეა თეატრი მის წარმოდგენებზედ; ამ თხუთმეტი წარმოდგენით ანტრეპრიზას აუღია ას-ოდა თხუთმეტი ათას მანეთზე მეტი და ამ ჯამს კი ნორმალურ დროს საოპერო დასი მთელი ხუთი თვის განმავლობაში ვერ აიღებდა ხოლმე: მახსოვს, — სეზონი რომ ათი ათასით გათავდებოდა, ამას ეძახდნენ „კარგს მუშაობას“. მაშასადამე, ოპერას წარჩინება აქვს და აბა, ჩვენ რაღა გვეთქმის.

რით მოსწონს ქართულ საზოგადოებას „აბესალომ და ეთერი?“ ნუ თუ მარტო მუსიკისთვის?

სულაც არა! „აბესალომ და ეთერის“ მუსიკა წარმავალია; აიწევს ჩვენი საზოგადოების მუსიკალობა ერთი, ორი ან სამი საფეხურით და თვით ბ. ზაქარია „აბესალომ და ეთერს“ შეგვიცვლის სხვა უკეთესზედ, უფრო ძვირფასზედ და ჩვენთვის სანუკვარზედ.

დღეს კი ქართველ საზოგადოებას ოპერის მუსიკასთან ერთად მოსწონს მისი შინაარსიც და ეს პოეზიით სავსე შინაარსი კი არის უხილავი ძაფის გამბმელი მსმენელსა და მუსიკას შორის და ამ ორ ბანაკ შორის სიმპატიის დამმკვიდრებელი.

დრამატიული ოპერის მამათ მთავარს რიხ. ვაგნერს კარგათ ჰქონდა გათვალისწინებული ხალხურ თქმულებათა დაუჭკნობელი სურნელოვანობა და აკი ასე დაჟინებითაც ატანდა იგი ხელს თავის უკვდავ ოპერებისთვის ამ გვარ ნაწარმოებებს; აკი იგი ამ თქმულებებს არა-რა დიდს პოეტურ ნაწარმოებებზედაც კი არა სცვლიდა! როგორც დიდს კომპონისტს და ამასთანავე ფილოსოფოსს მწერალს ვაგნერს განა გაუჭირდებოდა აელო აი, თუნდაც გიოტეს ფანტასტიური ფაუსტის შინაარსი და გადაეკეთებინა ლიბრეტტოდ თავის ოპერებისთვის? მაგრამ არა! იგი იმ თქმულებებში გერმანული ხალხის ერთნაირ ფილოსოფიურესთეტიურს მიდრეკილებასაც ჰხედავდა, რომელშიაც ჰკრთოდა და თინათინებდა ეროვნული იდეა სიმშვენიერისა. ლეგენდური ვოლფრამ ფონ ეშენბახი მეცამეტე საუკუნისა, რომელმაც დაუტოვა გერმანულ ლიტერატურას მშვენიერი პოემა თქმულებებისა „ტიტურელ“, „პარსიფალი“ და „ლოენგრანი“, ან კიდევ „ნიბლუნგების ბეჭედი“, „ზიგფრიდი“ და სხვა, აი ის სამეფო, საიდგანაც იყო მიჯაჭვული ვაგნერის გულის ყური. ვაგნერი, როგორც დიდი კომპონისტი, რომელსაც ხელში ეჭირა ოქროს გასაღები საიდუმლოებით მოცულ ხელოვნების სამთავროსი, იცნობდა, უახლოესი მონათესავენი. ხალხური პოეზია და მუსიკა ერთ მანეთისთვის შეეყარა და აემღ ყველებინა. მან ამ ოქროს გასაღებით გააღო კარები საიდუმლო ხელოვნებისა და მხის სხივის მიღებით ჩაუშვა ტკბილი ხმის ნაკადული ხალხურ პოეზიაში; ყველამ ვიცით და მოგვისმენია, თუ როგორ აამეტყველა ვაგნერმა ეს ორი უწმინდესი ტოტი ხელოვნებისა, და თუ კაცობრიობის გაჩენიდან ფილოსოფოსნი და სწავლულნი მოუბნობდნენ ამ ორი ხელოვნების უახლოესს ნათესაობაზედ, ეს ნათესაობა ხალხური პოეზიისა და მუსიკისა ისე ნათლად და მკ ფიოდ არსად არ დამტკიცდა, როგორც ვაგნერის ნაწარმოებებში. ეს ვიცით, რომ ულმობელი დროჟამი თავი დაუდგრომელ მსვლელობაში ყველაფერს შთანთქავს და ანადგურებს, მაგრამ ვაგნერის ქმნილებებში რომელი უფრო ადრე დაჰკარგავს სურნელებას, — პოეზია თუ მუსიკა, — ეს კი ძნელი გამოსაცნობია, — ასე ერთმანეთს ეჯიბრება სიმშვენიერით ოპერის ეს ორი დღლაბი.

შირისა. თავმჯდომარედ ამორჩეულია ა. მაყაშვილი, მდივნად—მ. დადიანი სახელოვნო ცენტრი შესდგება თორმეტ წევრისაგან.

# ამიერ-კავკასია

**ბაქო**

მოხალისეთა ჯარების ბაქოსაკენ წინსვლის გამო ბაქოს მუშათა კონფერენციამ, მაისის 25-ის სხდომაზე შემდეგი მოწოდება გამოსცა: „ამხანაგებო!.. ბაქოზე ხელ ახლად გროვდება შავი ღრუბლები. ბაქოს მთელი პროლეტარიატი ისე ვით აზერბაიჯანის მუშები და გლეხები ისევ საშინელ საფრთხის წინ დადგნენ. სამხრეთ რუსეთიდან საბოლოოდ გამორეკილნი და საბჭოთა ჯარებისაგან სრულიად დამარცხებული დენიკინის ბრბოები ჩქარის ნაბიჯით მიემართებიან კავკასიის მთავარ პროლეტარულ ცენტრის ბაქოსაკენ. ეგრედ წოდებულ მთიელთა მთავრობის ორმაგმა და სიმძაგმა ღალატმა საშუალება მისცა ამ ბრბოებს პეტროვსკი და დარუბანდი დაეჭირათ, თავისი ტლანქი ფეხებით გაეთელათ მთიელთა რესპუბლიკა და აზერბაიჯანის საზღვრებს მისდგომოდნენ“.

შემდევ მოწოდებაში ნათქვამია: მუშათა კლასი მუდმივ ღალატისა და გაცემის ატმოსფერაში სცხოვრობს. ..„ბაქოს პროლეტარიატის, აზერბაიჯანის მუშათა, ჯარის კაცთა, და გლეხთა წინაშე დღეს მხოლოდ ერთი საკითხია, რუსეთის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის საკითხი. კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

1. აზერბაიჯანის მთავრობამ, რომელიც თავის თავს სთვლის აზერბაიჯანის ხალხის წარმომადგენლად მთელი თავისი ძალღონე უნდა მოახმაროს აზერბაიჯანის დამოკიდებულების დაცვას.

2) იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა პოზიციას დაიჭერს აზერბაიჯანის მთავრობა, დაიწყებს გადამწყვეტ ბრძოლას თუ უბრძოლველად ჩაჰბარდება მტერს, მთელი ბაქოს პროლეტარიატი, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ფიცსა სდებს რომ დენიკინის წინაამდეგ სასტიკ ბრძოლაში ჩაებმის—ან გასწყდება და ან გაიმარჯვებს.

3) ამ მიზნით მუშებმა ეხლავე უნდა დაიწყონ ქ. ბაქოს სარევოლუციო თავ-დაცვის საქმე, შეადგინონ რაზმები და მჭიდროდ შეკავშირდნენ კომუნისტურ ინტერნაციონალის წითელ დროშის გარშემო.

**აზერბეიჯანის პარლამენტის სხდომა.**

მაისის 2-ს შესდგა აზერბეიჯანის პარლამენტის კრება რომელზედაც დიდის უმრავლესობით მიიღეს შემდეგი გადასასვლელი ფორმულა:

„მოისმინა რა განმარტება მთავრობის თავმჯდომარისა მოხალისეთა ჯარის დაღესტანში წინსვლის შესახებ, ადერბეიჯანის პარლამენტი იწონებს მთავრობის მოქმედებას, აღუთქვამს მთავრობას მთელის ძალღონით დახმარებას თავდაცვის საქმეში—და გადადის მორიგ საკითხებზე.

**შატელვორტის განცხადება.**

შატელვორტმა უსუფბეკოვს განუცხადა რომ მოხალისეთა ჯარს ინგლისელები ბაქოში არ შეუშვებენ.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**30 მაისი.**

## გერმანული პრესა.

**გერმანიის საზავო პირობები**

გერმანიის საპასუხო საზავო წინადადებანი ვერსალში ხუთშაბათს გადასცეს.

**რეინის მარცხენა ნაპირზე.**

საფრანგეთის დელეგატი ბრუსე რეინის მარცხენა ნაპირის დათვალიერების შემდეგ „პარიზის გაზეთ“-ს აუწყებს, რომ სეპარატისტული მისწრაფებები მხოლოდ მსხვილ მანუფაქტურისტებს აქვთ, რომელთაც სურთ ომის დროს შეძენილი სიმდიდრე, უზრუნველყონ.

**შვეიცარიის აზრი გერმანიის გარემოცვაზე.**

შვეიცარიის პრესის ცნობებით შვეიცარიის ფედერატიულმა საბჭომ დაამზადა პასუხი მოკავშირეთა იმ ნოტაზე, რომელშიაც მოითხოვდნენ, რომ შვეიცარიას მონაწილეობა მიეღო გერმანიის ახალი ბლოკადაში. საპასუხო ნოტაში უარია განცხადებული ბლოკადაში მონაწილეობის მიღებაზე.

**პროტესტი საზავო პირობებზე.**

ინგლისის საზავო საბჭოს წარმომადგენელმა ჩალრხტრევემანმა „მანჩესტერ გარდიანში“ გამოაქვეყნა პროტესტი საზავო პირობების წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ დროებით სწყვეტს საომარ მოქმედებას და არ შეიძლება მათ საერთაშორისო ზავის ჩამოსაგდებ საშუალებად ჩაითვალოს. საერთაშორისო დემოკრატია ისეთ ზავს მოელოდა როგორც რამდენიმე ხნის წინად ვილსონის სიტყვებში იყო დახასიათებული. ეხლანდელი პირობები კი მკაცრად გასაკიცხია პროტესტში ნათქვამია, რომ ვერ განხორციელდება ის ხელშეკრულება, რომელიც რესპუბლიკანურ და რევოლიუციონურ გერმანიას უნდა წარედგინონ. საარის საკითხის გადაწყვეტის დროს დაშვებულია იგივე შეცდომა, რომელიც 1871 წ. პრუსიამ დაუშვა. აღმოსავლეთ პრუსიის ჩამოშორება და დანციგის საკითხის გადაწყვეტა ეროვნულ გრძნობას შეურაცხყოფს. მანდატების სახით სხვა და სხვა გვარ ნამდვილ ანექსიებს ანხორციელებენ. არავითარ თვით გამორკვევის უფლება არ ეძლევათ იმ ქვეყნებს რომლებსაც ანექსიის სახით იერთებენ, მფარველობის სახელით. განუსაზღვრელი ანაზღაურება მონობის უღელს ადგამს გერმანიის მუშებს. პროტესტი ასე თავდება: არავინ დაიჯერებს, რომ ასეთ პირობებს დიდი ხანს მოითმენენ, ამიტომ ეს პირობები უნდა უარყოს ყოველმა დემოკრატმა, პაციფისტმა და ინტერნაციონალისტმა. შესაძლებელია შიმშილმა აიძულოს გერმანია, ხელი მოაწეროს ზავს, მაგრამ ინტერნაციონალისტები, რომელნიც საერთაშორისო დემოკრატიას ეყრდნობიან მედგრად მოითხოვენ ხელშეკრულების გადასინჯვას“.

**რეინის რესპუბლიკა**

როდესაც ცნობა მოვიდა, რომ სამშაბათს კობლენცში რეინის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ, კელნში საყოველთაო გაფიცვა მოხდა. გაიმართა დიდი დემონსტრაციები, რომელზედაც განაცხადეს მკაცრი პროტესტები რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ეხლანდელ პირობებში.

**პოლონელთა თვითნებობა.**

ლიტვის მინისტრ-პრეზიდენტმა ბერლინში ბროკდორფ-რანტცაუს და მოკავშირეთა ყველა მთავრობებს გადასცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბოლშევიკებისაგან მცხოვრებთა დაცვის საბაბით პოლონელებმა ლიტვის დიდი ნაწილი და მთავარი ქალაქი ვილნო დაიპყრეს მაგრამ მცხოვრებთა დაცვის მაგიერ პოლონელები მკვლელობას, ცარცვა-გლეჯას და ძალადობას ახდ...ენ, განსაკუთრებით კი ებრა... შორის ლიტვის მთავრობა მოით...ვს, რომ პოლონელებმა დასცალ...ნ ლიტვა და აანაზღაურონ მცხოვრებლებისთვის მიყენებული ზარალი.

## ფრანგული პრესა.

**გერმანიის პასუხი საზავო პირობებზე.**

ხუთშაბათს ნაშუადღევს საზავო კონფერენციას გერმანიის საწინააღმდეგო წინადადების მეორე ნაწილი გადაეცა. წინადადებები 150 გვერდს შეიცავს. პირველი 88 გვერდი, რომელიც საწინააღმდეგო წინადადებების შესავალს წარმოადგენს, უკვე დაბეჭდეს და 20 მთარგმნელს გაუნაწილეს, ინგლისურ და ფრანგულ ენაზე გადასათარგმნელად,

დღეს დილით ოთხთა საბჭოს თათბირი ჰქონდა. შუადღის სხდომაზე გერმანიის საპასუხო წინადადებებს გაეცნობიან, თან და თანობით, იმის და მიხედვით, თუ რამდენი იქნება გადათარგმნილი.

**მოკავშირენი და იტალია**

„ტან-“ი იუწყება. რომ მოხდა შეთანხმება ადრიატიკის საკითხის შესახებ და ათავსებს შემდეგ ცნობას: „პრეზიდენტმა ვილსონმა, რომელმაც დღეს სამხრეთ სლავიანთა წარმომადგენლები უნდა ინახულოს მოიწონა ორლანდოს მიერ შემუშავებული შეთანხმების ტექსტი, რომლის მთავარი პირობები შემდეგია: 1. ქ. ფიუმე განაპირა ადგილის, სიუშარის გარდა. ქალაქის დასავლეთით მდებარე ადგილებთან ერთად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა გამოცხადდეს; ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ. ეს სახელმწიფო იტალიის მოსაზღვრე იქნება, მასში შევა ფიუმედან ლიბახში მიმავალი რკინის გზის ლიანდაგი. 2) ზარა და სებენიკო იტალიის მფარველობის ქვეშ იქნება და იტალიამ უარი უნდა სთქვას დალმაციის სანაპიროს და მის აღმოსავლეთით მდებარე სხვა ადგილების შესახებ თავის მოთხოვნილებებზე, 3) იტალიის სუვერენიულ უფლებების ქვეშ იქნება აგრეთვე ფიუმეს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კუნძულები შერსო, ლუსიკი და აგრეთვე ლისა და სხვა მეზობლად მყოფი კუნძულები 4) მეორეს მხრით ხალხთა ლიგა იტალიას აძარებს ალბანიის მანდატს, სადაც ლონდონის ხელშეკრულების ძალით იტალიას უპირატესობა უნდა ჰქონოდა მინიჭებული.

## ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი** მაისის 30. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**ლიონი** მაისის 29. „ჟურნალ-დე-დება“-ს ცნობით გენერალი თაიოლი, რომელიც საოკუპაციო ჯარს სარდლობს, მაისის 26. კოლენცში მოვიდა გენ. ლიუჟეტან გერმანიის წინააღმდეგ შეტევის გეგმის შესადგენად, იმ შემთხვევისთვის თუ გერმანია უარს განაცხადებს საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერაზე. ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ოთხთა საბჭო შეთანხმების ძალით, გერმანიის ყველა იმ გემებს, რომელიც ამერიკის ნავთსადგურებშია და ჰერილი, შეერთებულ შტატში დაიტოვებენ. ლიუქსენბურგის დეპუტატთა პალატაში მინისტრმა რეიტერმა განაცხადა, რომ მთავრობა მიემგზავრება პარიზში, სადაც საზავო კონფერენციას გადასცემს ლიუქსენბურგის ხალხის სურვილს, ავტონომიის შენარჩუნების საფრანგეთთან და ბელგიასთან ეკონომიურ კავშირის შესახებ, და საზავო კონფერენციას სთხოვენ ლიუქსენბურგის ხალხთა ლიგაში შესვლის უფლება მისცენ. საფრანგეთის სამხედრო მისიამ, რომელიც ლიბავაში მოვიდა, ლატვიის მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყო.

**კარნავონი**, მაისის 29. ბრიტანიის საადმირალო იუწყება, რომ ამერიკაში საჰაერო მოგზაურობის მოსაწყობა მოსამზადებელი მუშაობა დასრულდა. „დეილი-ქრონიკლი სწერს“: გერმანიის საპასუხო წინადადებების უმეტესი ნაწილი მიუღებელია მოკავშირე სახელმწიფოები გერმანიის ახალშენების საკითხების და ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოების ტერიტორიალურ საზღვრების შესახებ თავიანთ შეხედულებას არ შეცვლიან და გერმანიის ტერიტორიის ოკუპაციის ვადის შემოკლებაზე არ დათანხმდებიან. ცნობებია, რომ ავღანისტანის საზღვარზე დიდი ბრძოლა არ მომხდარა, თუმცა ბრიტანიის ჰაეროპლანები მოწინააღმდეგის ჯარს კაბულსა და ჯალაბადში თავს ესხმიან.

**მოსკოვი.** (სამხედრო ცნობა) დასავლეთის ფრონტი. მურმანის რაიონი. რკინის გზის რაიონში ბრძოლაა. ნარვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ნერნოვი და გოტობუჟა დაიჭირა. ლუგის რაიონი. ჩვენმა ჯარმა ვოლოკი დაიჭირა. ლუგის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მდინარე ბერდუხისკენ დაიხია. პსკოვის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. მარიენბურგის მიმართულებით ლატიშთა წითელმა ჯარმა სოფ. მურიანნოდელ - გარევენ - სპურისტის ხაზზე ახალი პოზიცია დაიჭირა. ვოლმარის რაიონში ლატიშთა წითელმა ჯარმა დაიხია სოფელ... (დამახინჯებულია და გამოტოვებულია). ბრძოლის შემდეგ ჩვენ ასტრახანის დასავლეთით 140 ვერსზე ხარახუსოვსკაია დავსტოვეთ. ასტრახანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა განიუშკინო დასტოვა.

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

ორენბურგის რაიონში ჩვენ ტატიშჩევკო დავსტოვეთ. სტერლიტამაკის რაიონში ჩვენ ალაგუვატოვო დავიჭირეთ. ბელების და ბუგურუსლანის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით 20 ვერს. წინ წაიწია. ბირსკის მიმართულება. მოწინააღმდეგე რომელიც ბელაიასთან დავამარცხეთ, გემით ბირსკში წავიდა. ჩვენ ელაბუგის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 56 ვერსზე მდებარე ხაზს მივაღწიეთ.

# შესხმა

**წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლის თავის ზეიმობის დღეს, საქართველოს კათოლიკოზ - პატრიარქის ლეონიდის მიერ.**

საქართველოს დედა ქალაქი თბილისი მაისის ვარდივით აყვავებულა და, ეროვნულ დროშების ტყეში ჩამჯდარი, წმინდა წყლის ლალის კრიალოსნივით საოცნებოდ ბჟყვრიალებს ცხრა თვალი მზის სხივებზე. მძლავრ სკიდან გამოსულ ახალ ნაყარი ფუტკრებისავით გამოფენილვართ ყველანი კარზე და სიმღერა-მუსიკით ვლაღობთ, ვზეიმობთ, ვდღესასწაულობთ და ვმხიარულობთ ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, სწავლული და უსწავლელი, მუშა და სახელმწიფო მოხელე. მხედარი და ვაჭარი.

რაშია საქმე? რა მოხდა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი, რომ ასე უცბად დაგვიწყებია ყველას ყოველდღიური დარდი და ვარამი, ასე თანაბრად მოგვდებია დიდსა და პატარას უსაზღვრო მხიარულება?

იქნება დღევანდელმა დღემ დაგვასაჩუქრა თამარ მეფის, დავით აღმაშენებელის, შოთა რუსთაველის მსგავსი პიროვნებით, ან იქნება ჩვენს ქვეყანაში აღმოვაჩინეთ ძვირფასი თვალ-მარგალიტისა და ოქრო-ვერცხლეულობის უამრავი ხიზათები და ამის გამო, რომ სამხიარულოდ გაგვიხსნია ყველას შუბლი და გული, ესაა მიზეზი დღევანდელი ჩვენი შვება-ლხენისა?

არა! ყველა ეს, გინდაც ერთად აღებული, არ კმარა, მეტად მცირე და მდარეა იმისათვის, რომ ასე აღფრთოვანდეს, ფეხზე დადგეს, ბედნიერების ფიალად იქცეს და მზებრ გაბრწყინდეს მთელი ერი.

დღეს ჩვენ ვითვალისწინებთ იმის შეძენას, რითაც კაცი კაცობს და თავი მოსწონს. დღეს ქართველი ერი დღესასწაულობს საკუთარი თავის პოვნას. ეს დღე წლის თავია ჩვენი სამშობლოს კისრიდან პოლიტიკური მონობის სათაკილო უღლის ახდისა; ეს დღე წლისთავია, რაც საქართველო შეიქმნა დამოუკიდებელ, თავისუფალ, სუვერენული უფლებებით მოსილ ქვეყნად—აი, რას იგონებს, რას დღესასწაულობს და რას უმღერის დღეს მთლიანი საქართველო „ერთითა გუ-

---

ესევეა ბ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“, მხოლოდ აქ განშორებით მცირედის მასშტაბით არის ნამოქმედარი მუსიკაშიც, პოეზიაშიც. უფროთავრეს ნაკლს კი „აბესალომ და ეთერისას“ შეიქმს ის უმოძრაობა და უსიცოცხლობა პერსონაჟებისაც და მასსისაც, რაც აქ არის გამეფებული. მოიგონეთ ვაგნერის მიერ აშენებული მუსიკალური დრამა ხალხურ თქმულებებზედ. იქ უკანასკნელი სასულეც (პაუზა) კი ლაპარაკობს და მნიშვნელოვანია; „აბესალომ და ეთერში“ ეს უმოძრაობა თითქოს ხელოვნურად არის შექმნილი—ასეთს შთაბეჭდილებას ახდენს საერთო მსვლელობა მოქმედებისა ამ ოპერაში.

არას ვიტყვით დეკორაციასა და ტანისამოსზედ. ამ მხრივ არაფერი არა შეეფერება-რა ამ ოპერის პერსონაჟებს, არც დროს თქმულების აწყობისას; აკი მაყურებლისათვის არავითარი ილლიუზიას არ აქვს ადგილი და იგი მინდობილია მარტო თავის უნარს წარმოდგენისას. დეკორაციებისა და ტანისამოსის უქონლობას თავის მიზეზი აქვს, ამ მხრივ ვერაფერს მოვითხოვთ; ხოლო იმედი უნდა გვქონდეს რომ მომავალში თეატრის დირექცია ამისთვის რამეს იზრუნავს, მით უმეტეს, რომ სამინისტროს აღუთქვავს, როგორც გავიგეთ, მომავალში იმ ოპერისათვის სულ ახალი მოწყობილობა.

მეორე აქტში არის დეფექტები, რომლის შეკრებაც ნაწარმოებს წარჩინებას გაუძლიერებდა და შექმნიდა ფრიად მნიშვნელოვან ქართველი ხალხის ჩვეულობის ნამდვილ ილლიუზიას. პირველი: აბესალომი მოდის, ქორწილს იხდის, ხალხი შეყრილია; აქ უნებლიეთ ნატვრობ შემოვიდეს „ჩვენებური მახარობელი“, რომელსაც მახლობელნი მეფისა ბალდადით მხარს აუხვევენ ხოლმე; აი ეს მახლობელი იტყვის პირველად „მოვდივართ მოგვიხარიან, მოგვყავს დედოფალი ხოხობი, მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი“ და სხვა.

მე მიკვირს, რომ ბ. ზაქარიას ეს პატარა ფრაზა, რომელიც ერთნაირს მაშინ ეფექტს შეიტანდა საზეიმოდ თავმოყრილ სტუმრებში, დავიწყებია. ეს ნაკლის მთლად ლიბრეტტოს ავტორისაა, როგორადაც სხვა ქვემოდ ჩამოთვლილი: ან და თუ კომპოზიტორმა გამოუშვა ეს ჩვეულება, ან ლიბრეტოს ავტორმა რეჟისსურას შეეძლო სტატისტად ვინმე გამოეშვა თავისუფალ მუსიკის დროს, აი თუ გინდ გუნდის სიმღერის დროს, რომელსაც მიეგებებოდნენ და მხარს ა უხვევდნენ იქ დამსწრენი. ეს ისეთი ნაცნობი და მახლობელი ჩვეულებაა ყველა ქართველისთვის, რომ მაყურებელს თვით შეეძლო დაემთავრებინა ილლიუზიით ეს სცენის ეპიზოდი.

ამავე აქტში მამაკაცთა გუნდი პატარა სიმღერის შემდეგ გამოდის დარბაზიდან მეფე-დედოფლის დასახვედრათ; აქ მეფე-დედოფალს დაუხვდება წინ და გაუძღვება დარბაზისკენ. ამ შემთხვევაში ხორო მაყრიანობას ეწევა. რასაკვირველია, მამაკაცთა გუნდი რომ მრავალრიცხოვანი ყოფილიყო, მაშინ სცენაზე მყოფი გუნდი ფეხსაც არ მოიცვლიდა და პირდაპირ მეორე ნაწილი გუნდისა შევიდოდა დარბაზში მეფე-დედოფალთან ერთად და ეს უხერხული გამოსვლა-შესვლა, რომელიც თვალს ეხამუშება, აცილებული ექნებოდა მაყურებელს; მაგრამ აქ უფრო სხვა რამ არის საკვირველი: რათა მღერის ხორო „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და სხვა. რა, მეფე საომრად მიდის სადმე? თუ ამ შემთხვევაში ზედგამოჭრილი იქნებოდა ის მშვენიერი სიტყვები, რომელსაც დღესაც მღერის ხალხი,—„ჰარა ლალი მოვდივართ მოგვიხარიან მოგვყავს დედალი ხოხობი და სხვა“. ჩვენის აზრით, ეს უნდა აუცილებლივ შესწორებულ იქმნას. რაც შეეხება „ქართველო ხელი ხმალს იკარ“, სიტყვებს თავისი ისტორია აქვს; მოკლედ რომ ვსთქვათ, ეს სიტყვები პირველად მოაწყეს ამ სიმღერაზედ ოც და ათის წლის წინათ აღნიაშვილის ხოროში და აქ იმღერეს პირველად; პირველის მთქმელი თითონ ამ სტრიქონების დამწერი იყო; მაშინ იქ ამ სიტყვების სცენიდან თქმას ის აზრი ჰქონდა, რომ გამოეფხიზლებინა მიძინებული ქართველი საზოგადოება, და აქ რა აზრი აქვს ამ სიტყვებს, რომელიც ხალხს საომრად იწვევს,—აქ, ქორწილში მოსულ ხალხისთვის, რომელთაც ტკბილათ უნდა გაატარონ დრო,—ეს მე ვერ გამიგია. მინდა ვიფიქროთ, რომ კეთილი რჩევა მიღებულ იქნება.

აქ ერთი მშვენიერი ჩვეულებაც არის უყურადღებოდ დატოვებული: მეფე-დედოფალი რომ შედის, კარებში მეჯვარეები ხმლებს გადაუჯვარედინებენ ხოლმე; ან მეფე, ან ერთი მაყურებელთაგანი ამ გადაჯვარედინებულ ხმლებს აუკრავს ხმალს და აი; მაშინ, გადასდგავენ ბჭეს იქით ფეხს მეფეც დედოფალიც. ეს იმას ნიშნავს, ხალხის აზრით, რომ მახვილი და ეშმაკეული ძალა იძლია დ გამარჯვებულნი შევლნენ ამიერიდგან ოჯახის ბურჯნი; აი აქვე, ბჭეს გადასულთ, მოაგებებენ ხოლმე; აქ მეფემ უნდა გამოსცალოს ჯამი, ან ჰიქა, დაიგდოს ფეხქვეშ და ერთის ფეხის დაკვრით იგი დაამტვრიოს; თუ მეფემ ვერ გატეხა ერთის დაკვრით, ეს ცუდი ნიშანია და დიდათ საწყენი ოჯახისთვის. ჩვენის აზრით, ეს ჩვეულება რომ დაცულიყო, იგი ქართულ ქორწილის მთლიან სურათს დაგვიხატავდა თვალ წინ და ამასთანავე დიდს ეფექტს და გამაცოცხლებელ მომენტს შეიტანდა მთელი აქტის საერთო მსვლელობაში. ამ ჩვეულების შეტანა მით უმეტეს შესაძლებელია, რომ იგი არ მოითხოვს საერთო აქტის კონცერტრაციაში რამე ტაქტების ჩართვას და იგინი გუნდის სიმღერის დროსაც კი შეიძლებოდა შესრულებულიყო.

შემდეგ,—პირველი ულოცავს აბესალომს მეფე დაადგავს თავის გვირგვინს ძველადგანვე საქართველოში მეფე-დედოფალი მშვენიერის სიტყვებით ილოცებოდა და განა არა სჯობდა ეს სიტყვები ჩაერთო ლიბრეტტოს დამწერს, უაზრო რამ ვითომდა პოეტურ წინადადების მაგიერ? საუბედუროთ ახლა ხელთ არა გვაქვს ის ხალხური ძველებური მეფე-დედოფლის ლოცვა, რომ ჩვენი სიტყვების სიმართლე დაგვედასტურებინა. ეს დიდებული მეფის ლოცვა დაიბეჭდა ის ტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგ. გამოცემაში, იგი ჩავიწერეთ ერთ ქვემოხანდაკელ მოხუცისაგან, რომელმაც ტარიას ლექსი თავისებურათ იცოდა; ამბობდა აგრეთვე „ბეჟან და ჟამანიანს“, „რუსთემს“ და სხვა მრავალს თქმულებებს დღესაც ქართლკახეთში მეფე ილოცება ამ ლექსით, ხოლო სიტყვების გადახალისებით და შემოკლებით. სასურველი იყო ეს ლექსი შეტანილიყო ლიბრეტტოში; გავრცელდებოდა მაინც იგი ხალხში და უხმარებლად დაბეჭდილი არ იქნებოდა მარტო ისტორიის მასალად.

უნდა გამოვტყდე, და სიმართლე ვსთქვა, რომ ლიბრეტტოს დიდმა ნაკლმა აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ოპერას; მარტო ერთი ენა ლიბრეტტოსა აქარწყლებს და ჰკლავს რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის ქართული ენის მუსიკოსობას; ლაზათიანად ლიბრეტტოს დაწერას დიდი შემოქმედების ნიჭი სჭირია; მობდენილი ლიბრეტტო ნახევარ წარჩინებას აძლევს ოპერას. „აბესალომ და ეთერში“ მარტო მუსიკას გამოჰყავს თავისი თავი და წარჩინებაც მარტო იმისია ევროპიელი სკრიბი, ბოიტო და ერთი ორი კიდევ სხვა აი შესანიშნავი ლიბრეტტისტები და ამავე დროს გამოჩენილი პოეტებიც. მაგრამ უმადურობა იქნებოდა ბ. მირიანაშვილისთვის არ გვეთქვა მადლობა მარტო იმაზედაც, რომ ამან შთააგდო, რამდენადაც ვიცი, ბ. ფალიაშვილი ამ მუშაობაზედ და იქნებ, ფალიაშვილიც ეხლა აადგა თავის ნამდვილ გზას და დანიშნულებას.

ორი სიტყვა ბ. ფალიაშვილს: შეუწყნარებელ სიმაღლის ტესიტურაშია დაწერილი ორი ტენორისავის სუფრული სიმღერა; ამიტომ შთაბეჭდილებაც ნაკლებია; არ შეიძლება დაუშვას ორკესტრმა ნახევარან მთელი მომენტი სუფრაზე ზეიმისა? შესაძლებელია—და, მერწმუნეთ, სუფრულიც მოიგებს, ქალის ნომერიც ჩოჩურზედ, მეორეც ეს: არ ვიცი, რამდენათ ხელსაყრელია და შესაწყნარებელი ორი ერთ ხარისხოვან ტენორის სიმღერა ერთსა და იმა ნომერში. არის, მართლა მაგალითები, სადაც ორი ერთნაირი ხმა მღერის, მაგალ., ოპერა „მარიაგ დე როგანო“ ში ორი ბარიტონი, სხვაგან ძალიან იშვიათად შეხვდებით. თუ შესაძლებელი იქნება, რომ ეს მომენტი სუფრაზედ ზეიმისა დაიშვას ძირს ფარდებში, მაშინ შესაძლებელი გახდება მძახილი სუფრულისა მსუბუქმა ბარიტონმა სთქვას და ეფექტიც, რა თქმა უნდა, სულ სხვა იქნება.

მეორეც ესა,—სუფრულის მთქმელები შორსა სხედან—მეორე პლანზედ და მიკვირს, ან მომღერლები როგორ აწვდიან ხმას, ან თქვენ როგორ აძლევთ ნიშანს. არ შეიძლება მაგიდა პირველ პლანზედ დაიდგას სიგრძით?

ორი სიტყვა რეჟისორს: შეუწყნარებელია ის უმონაწილეობა და გულგრილობა, რასაც ხორო იჩენს ოპერაში. აი მაგალითებიც: აბესალომი მოუწოდებს,—ვის უნდა ქალი ეთერიო? მსურველიც გამოჩნდა იქვე,—მურმანი, მეგობარი აბესალომისა; ამ ამბავმა უნდა შეაძრწუნოს, მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს ხალხში. განა ხალხი გულგრილად შეხვდება ხოლმე სოფლად, ჩვენში, როცა ამხანაგი ამხანაგისას მოინდომებს? ამისთანა შემთხვევაში მთელი სოფელი, თემი ფეხზედ დადგება—ხოლმე; აქაც ეგე უნდა იყოს. მაგრამ ხორო კი დგას ქვასავით, თითქო ეს მათ არ შეეხებაო. ან კიდევ: აბესალომის ვაებას საზღვარი არა აქვს; თავის გვერდზედ მჯდომს მანდილოსნებს ხან ერთს შევარდება, ხან მეორეს; ესენი კი დგანან გაქვავებულნი და აბა თუ ან ერთმა, ან მეორემ ნუგეში მისცენ ხაბრალო კაცსა! რეჟისორმა უნდა თვალ ყური ადევნოს სცენაზედ მყოფთ, რომ იგინი სცოცხლობდნენ და მაყურებელიც გრძნობდეს მათს მაჯის ცემას,—თორემ, ვიმეორებთ, ძალიან უსიცოცხლობა, მოწყენილობაა სცენაზედ.

ბოლო მოქმედებაში ძმაკაცებს გამოაქვთ აბესალომი საკაცეზედ. როდის-როდის გამოვა ორი მანდილოსანიც. ნუ თუ აბესალომს მახლობელი დედა, და, ნათესავი ქალი არავინ ჰყავდა, რომ თან გამოჰყოლოდა, განა ავადმყოფს მიატოვებდნენ კაცების ამარა? არა მგონია! როგორც ცხოვრებაში, ისევე სცენაზედ უნდა იყოს. მანდილოსნებიც თან უნდა ახლდნენ ავადმყოფს აბესალომს.

ერთი კიდევ: ჩემის აზრით, სულ მომეტებულია ამოდენა ხალხის გამოყოლა ავადმყოფთან; ყოფილიყო ის ორი კაცი, ვინც გამოიტანს ავადმყოფს, ორი ქალი, ერთიც მოხუცი—მხლებელი აბესალომისა. ხოროს აქტის ბოლოში ერთი-ორი ფრაზა აქვს სამღერი და ამისთვის იგი მთელი აქტი კი სცენაზედ სდგას; ეს როგორღაც უხერხულია; მაყურებელი უყურებს ამ ხესავით ამოსულს ფიგურებს და არ იცის რა სთქვას არ შეიძლებოდა ეს ხალხი მაშინ გამოსულიყო, როცა ეთერი თავს დააკლავს აბესალომსა? ილლიუზია მაყურებელისა ასე ამუშავდებოდა: რა ხალხმა გაიგო ეს ამბავი, მოცვინდა აქეთ-იქით კუთხიდან და ნახა შესაზარი სანახაობა; ხალხმა იცოდა რა მიჯნურების ისტორია, დაეცა მუხლზედ და მღერის შესაფერ სიტყვებს. ამ ნაირად ამოძრავება მასსისა მეტს მოქმედებასა და სიცოცხლეს შეიტანდა მთელი აქტის მსვლელობაში.

ზემოთ ტანისამოსსა და დეკორაციებზედ გაკვრით ორი სიტყვა მოგახსენეთ; არ არის არც ერთი არც მეორე და მეტი რა ღონეა; მაგრამ ბოლო აქტში მურმანი ხმა მაღლა ორჯელ ამბობს: შენც ხომ იცი ბროლის ციხე როგორ ცამდინ მაღალია“-ო, ამას უნდა ეშველოს რამე, ხალხისკენ მოქცეული კედელი მურმანის სასახლისა თეთრად მაინც შეიღებოს ცარცითა, თორემ ეს შავად შერაჯული კედლები ციხისა სულაც ბროლს არ წააგავს.

ი. კარგარეთელი.

ლითა და ერთითა პირითა“ კიდით კიდემდე! აი, რის გამო ამეტყველებულა დღეს საქართველოში ყენო, ფეხი აუდგამს კუტს, თვალის ჩინი მისცემიათ ბრმებს და საყვარელი შვილების დამმარხველ საბრალის მშობლებს მწარე ტირილი შეუცვლიათ მაყრულზე! ესაა მიზეზი, რომ სასიკვდილოდ გადადებულ ავადმყოფებსაც კი გული აღარ დასდგომიათ სახლებში და უთხოვნიათ მოკეთეთათვის საკაცეებით გარეთ გატანა, რომ რამდენიმე წამით მაინც განიცადონ მშობლიო ერ ის საერთო ლხინი!

დასტკბით, ძვირფასნო მოქალაქენო! იხარეთ და იბედნიერეთ, ჩემო სასიქადულო სულიერო შვილებო, ამ შეუდარებელი, სამღრთო და იშვიათი წამით!

სოციალ-პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა სამშობლოსი — ამის მოპოებისთვისაა, რომ გული უცემს შეგნებულ ადამიანს, ესაა, რომ ენატრება ყველას, ვინც ღირსეულად ატარებს ქუდს და კაცის სახელს.

შეიყვარეთ, შეიტკბეთ, სისხლ-ხორცად, სუნთქვად, მეორე ბუნებად გაიხადეთ, საყვარელნო, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა და თავგანწირვით სამსახური.

ყველაფერს შეელიეთ, ყველაფერი დასთმეთ, ნურავითარ მსხვერპლს ნუ დაერიდებით სამშობლოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და გწამდეთ, რომ ამაზე სასახელოს, ამაზე საქებურს, ამაზე სათნოს, ამაზე უფრო სასიკეთოს და სახეიროს როგორც თქვენთვის, ისე თქვენი ჩამომავლობისათვის თვით ღმერთიც ვერც რამეს გაგონებთ, და ვერც რისამეს გარიგებას შეგაძლებინეთ თქვენს სიცოცხლეში.

თავისუფლება ყველაფერია თვითეული პიროვნებისთვინაც და მთელი ერისთვინაც.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ თავისუფლება მეტად ნაზი და აზიზი ბუნებისაა. იგი მარტო იქა ხეირობს და ფესვებს იდგამს, სადაც ტრიალებს „სული უფლისა“, ე. ი. სადაც ადამიანი ადამიანს სცნობს, ერთი მეორეს აფასებს, თვითეულის პიროვნება ხელშეუხებელ საუნჯედაა ცნობილი, სხვისადმი სამსახური, სხვისთვის თავისდადება, სხვის ამაღლება, და გახარება საკუთარ ბედნიერებადაა აღიარებული, სადაც ყველამ იცის საკუთარი თავის ალაგმვა, შეზღუდვა, დაჭერა და შევიწროება, რომ მეზობელს, თავის მსგავს ადამიანს არავითარი ზიანი, არავითარი უსიამოვნება, არავითარი მწუხარებადა სიმწარე არ მიაყენოს არც სიტყვით და არც საქმით.

ესაა ერთად ერთი პირობა ქვეყანაზე სათაყვანო თავისუფლება — დამოუკიდებლობის განმტკიცებისა.

აქეთკენ ვიქონიოთ ყველამ გული და გონება, მას ვეტრფოდეთ, ეს შევიძინოთ და საქართველოც სულ მოკლე დროში შეიქმნება დედამიწის მდიდარ სახელგანთქმულ, ძლიერ და უძლეველ ნაწილად.

მოგილოცავთ, მამულიშვილებო, სამშობლოს დამოუკიდებლობის წლის თავს, ვით ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს!

ღმერთმა აკურთხოს, აღადგინოს, განაძლიეროს მკვიდრთა რაოდენობით და აღავსოს სულიერ მატერიალური დოვლათით ხატივით სალოცავი საყვარელი საქართველო! ამინ!

კათოლიკოზ-პატრიარქი **ლეონიდი**

## პასუხის პასუხად ბატონ „ჩელას“

ბატონი „ჩელა“ ვერ იქნა და ვერ დავაკმაყოფილე ჩემის გულწრფელის პასუხით და ყოველ ღონესა ხმარობს ყაჩაღად გამოგვიყვანოს იმიტომ რომ ჩვენს შორის შეგროვილი თანხა გავბედეთ და გავანაწილეთ სხვადასხვა დაწესებულების სასარგებლოდ, იმ დაწესებულების სასარგებლოდ, რომელნიც განიცდიდენ უკიდურეს მდგომარეობას და ამასთანავე მოგვმართეს თხოვნით ჩვენი ქვეყნის ისეთმა ცნობილმა პიროვნებებმა და მოღვაწეებმა რომ ამ დაწესებულება-ორგანოებისათვის დახმარება აღმოგვეჩინა, რომ ჩვენ ზნეობრივად არავითარი უფლება არა გვქონდა უარი გვეთქვა ამ უანგარო და თავდადებულ მოღვაწეობისათვის. ამიტომაც წმინდა მოვალეობად დავისახეთ, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, დახმარება გაგვეწია და ასეც მოვიქეცით. ჩვენშორის შეგროვილ თანხიდან, რომელიც ინახებოდა ვაჭართა კავშირის სახელობაზე და ჩვენს განკარგულებაში იყო საზოგადოებრივ დაწესებულებას დახმარება გაუწიეთ—ბატონ „ჩელას“ უნდა ჯვარს გვაცვას ჩვენ შორის შეგროვილი თანხის საზოგადო საქმის მოხმარებისთვის. ეს არ იყო ხაზინის თანხა, როგორც ამაზე იგი ჰბოდავს და ან რა უფლების ძალით შეგვეძლო ჩვენ, ვაჭართა კავშირს, ხაზინიდან ფულები გაგვეტანა?

მე, კერძოდ კმაყოფილიც ვარ, რომ ბ. „ჩელამ“ მაიძულა საზოგადოებისთვის გამეცნო ჩვენი მოქმედებანი, მაგრამ მე კერძოდ ერთის თხოვნით მივმართავ ბ. „ჩელას“ მკითხველის სახელით, რადგანაც არა ერთხელ ამნაირი მუქარა გაზეთების ფურცლებზე ნათელ იყო ის შემაძრწუნებელი ბრალდებანი, რომელიც ჩვენზე იყო გამოგონილი. ეს დაპირება და მუქარა დღემდის დაპირებადვე რჩება და ჩემდა სამწუხაროდ ამ „ბნელ საქმეს“ ვერაფრით ნათელი ვერ მიეფინა. ერთხელ კიდევ ვთხოვდი ბ ნ „ჩელას“ რომ ითავოს და გამოაშკარავოს ის „უმსგავსი“ უჩინ მაჩინის ქუდი, რომელიც იმ, რაღაც ჩვენს შორის შეკრებილს გროშებს ახურავს. იქნებ მართლა ძარცვასთანა გვქონდეს საქმე, ეს ის საგმირო საქმე ხომ არ არის ერთ დროს რომ ვითომც შეკრებილიყვნენ ჩვენი ქვეყნის გმირთა გმირები, შეიდგინოთ მეომართა ჯგუფი და გაშურებულიყვნენ ტრაპიზონის დასაცავად, მაგრამ სამწუხაროთ, როგორც ხმასავრცელებენ დაცვის მაგიერათ ამ ვითომდა სამშობლოსათვის თავდადებულებს ნადავლის გამოტაცებისთვის მიუყვიათ ხელი და რამოდენიმე მილიონად ღირებული საქონელი გამოუტაცნიათ, რომელიც საზოგადოების აზრით არის და უნდა იყოს სამხედრო ნადავალი და რომელიც უნდა ეკუთვნოდეს საქართველოს და იმის რესპუბლიკას და არა რომელიმე წრეს, პირს და ანუ ჯგუფს. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ ის ნადავალი საქართველოს რესპუბლიკას არ უხილავს და როგორც ვიცით, ის მიუჩქმალავს კერძო ჯგუფს, დღესაც გამოურკვეველია საზოგადოებისათვის და ჩვენთვისაც თუ ეს ეროვნული მილიონები სად გაჰქრა.

დიდათ დაავალებდა საზოგადოებას და ჩვენს ქვეყანას ბ. „ჩელა“ თუ ამ მილიონებს გამოაჩენდა და ჩემსავით გულწრფელად აღიარებინებდა იმ გმირთა გმირებს, თუ სად მიჩქმალეს ის მილიონებად ღირებული ნადავლი. აი ამის შემდეგ ჩვენ და ისანი ერთად წარვსდგებით სამჯავროსა წინაშე რაც ბატ-ნს „ჩელას“ ასე ენატრება.

ჩვენ თუ დავეხმარეთ საზოგადო საქმეს და არცა ვმალავთ, იმედია ბ. „ჩელა“ ტრაპიზონის ნადავლის მიმთვისებლებსაც აღმოაჩენს რისთვისაც მეტს მადლობას დაიმსახურებს, ვიდრე გველესიანისა და იმისი ამხანაგების ჯიბეებში ხელის ფათურისთვის!

ეს არის ჩემი უკანასკნელი პასუხი პატივცემულ „ჩელას“ მიმართ და მეტი სიმართლის აღდგენაც აღარ ძალ გვიძს!

**იოსებ გველესიანი.**

## პროვინციიდან

### ერწო—თიანეთი

აპრილის ნახევრამდე აქეთ მშვენიერი ზომიერი ამინდი მიდიოდა, შემდეგ კი ბუნება შეიცვალა, დაიწყო ავიდრობა, და აგერ მაისიც გადის და გამოდარებას კი აღარა ეშველარა. ავიდარმა და წვიმამ ძრიელ შეაწუხა —შეაფერხა გაზაფხულის ხვნა თესვა, ერთი დღის სახნავს სამ დღეს ძლივსა რჩებიან ავდრის მიზეზით. ერწოში სასიმინდე მიწებს ეხლაღა ხნამენ. მაგრამ აბა როდისღა უნდა მოესწროს, როცა ერთი დღე მზე აღარ გამოდის. ყანების მოსავალი ერწოში ჰრელად არის, უფრო კარგი პირი უჩანს ყანებს საყარაულოს და თიანეთის—ახალსოფლის მიდამოებში.

მიწებში ხალხი ვერა რიგდებიან და ბევრგან თავ-პირის მტვრევა აქვთ ერთმანეთში, ვისაც მარჯვენა უფრო ღონიერი აქვს, ის მომეტებულსაც ხნავს-თესავს, და ხელმოკლე და საწყალი კი, ისევ ძველებურად საწყლად რჩება.

ამასწინად ერწო-თიანეთის სოფლების წარმომადგენელნი თიანეთში იყვნენ დაბარებულნი კომისიისაგან; კომისიამ ხალხს გამოუცხადა მიწა უნდა შეისყიდოთო, მაგრამ, მიწაში სასყიდლის გადებაზე ხალხმა ერთხმად უარი განაცხადა: „აკი წინად გვპირდებოდნენ მიწა-წყალი მთა და მინდორი სულ მუქთად მოგეცემათო, და ეხლა კი იმას გვეუბნებით უნდა შეისყიდოთო?

აქეთ შარშან ფუტკარი სულ გაუწყდათ და ზოგი თითო-ოროლა ძირიღა დარჩათ; წელსაც მუშაობის დროს უმამინდობა დაუდგათ, ვერაფერი შეაქვთ რა, და პატრონებს საკვები კი (თაფლ-შაქარი) არ მოეპოვებათ რომ საზდო მისცენ, ამიტომ ძრიელ მოსალოდნელია რომ ვისაც რა დარჩათ ისიც გაუწყდეთ. ამდენ ავდრობას დაუნდობელი სეტყვაც მოჰყვა, 23 მაისს შუადღისას ერთბაშად ასტყდა ჭექა ქუხილი რომელსაც მოჰყვა სეტყვა; სეტყვა წამოვიდა ორხევიდგან, გადმოიარა სიონ—საყარაულოს მინდვრები და გადაეშვა თიანეთისკენ; წინადღეებშიც სოფელ ოქრუთი და მისი მიდამოები ძრიელ დასეტყვა; ხალხი იმედს არა ჰკარგავს, ნასეტყვი ჭინახული ისევე მომჯობინდება, რადგანაც ჯერეთ თავ თავი არ აქვს ჩასახული. წინა დღეებში სოფ. ახმეტის ნახევარი მხარე საუკეთესო ღვინის მოსავლის ვენახებიც გაანადგურა სეტყვამ.

აქეთ პურის ფასი დღითი-დღე მატულობს, კოდი პური 45—50 თუმან. იყიდება და ქერი 35 თუმანში. აგრეთვე ღვინო, მიუხედავათ იმისა, რომ ჩარექი ღვინო 12—13 მანეთად იყიდება, ხალხი მაინც ქეიფ-ლოთობას უფრო უმატებს და არა წყალებს; საცა არამგონია სოფლებში ღვინისტა[illegible]ობა არის გამართული და ლოთობას და თავპირის მტვრევას საზღვარი არა აქვს ჩხუბებს ზოგჯერ კაცის მსხვერპლიც მოჰყვება ხოლმე.

სოფლებში მუცლის სახადი თანდათან ვრცელდება და რამდენიც თბება იმთენი უფრო ბევრი იხოცება.

**ქართველი ოსებში ნამყოფი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით 1000 მანეთს *) თელავის ერ.-დემოკრატ. ახალგაზრდათა ორგანიზაციის მიერ პარტიის წევრებში შეკრებილს გაზ. „საქართველოს“ ფონდის სასარგებლოდ.

**ი. შოშიაშვილი**

*) რედაქციამ ფული მიიღო.

## ტრფობა ნამდვილი

**(ისტორიული რომანი)**

44

სიწმიდის ლამპარი ბრწყინავდა ჭაბუკთა სულში. ამას გამოაჩენდნენ საქმენი მათნი კეთილნი და მიწყივი მათი შრომა განვითარების სავალზედ. მაგრამ ჭალი მათის სისრულისა დავზნებული იყო არა მხოლოდ მადლისაგან ზეციურისა, სიყვარულისაგანაც ქვეყნიურისა. თუმცა ვინ იტყვის, ტრფიალება ქვეყნიური არ იყოს მადლივე ღვთისა, მხოლოდ ხორცსხმული, ნივთიერ ქმნილი, როგორც შეჭმუნის სოფელს ნივთიერს, ცხოვრებას ხორცთა შორის ნამქლავნებს. ეშხით დამწვარ თებრონიას კიდევ იმედი ჰქონდა, რომ მისი სიახლე ხორციელი და ერთობა სულიერი ააგზნებდა თუნდ ქვის ჭაბუკში იმ იდუმალ კანდელს ვნებისას, რომელი ძლიერად საცნაურ იქნების არსთა ბუნებაში; დააკვესებდა ვაჟში ნაპერწკალთა ბუნჯგალს მწვავმოლაპლაპეს, რომელს ეძინა მის მძლავრ აგებულებაში, განუყრელ მეგობრის მაძიებელ მის გულში. და მაშინ...

და მაშინ აღყვავდება ედემი ჩემთვის! და მაშინ შევალ სასუფეველსა ამა ქვეყნიურს! და მაშინ ბედნიერ ვიქმნები, ვით ევა პირველ კოცნის წუთს! შეჰშურდება თვით სატანაილს ნეტარება ჩემი. შევიქმნები კურთხეულ დედათა შორის, ქალთა შორის მთელის ქვეყნისა! წარმოსთქვა სურვილმორეულმა ქალმა.

და დაეკრა ათროოლებული ბაგით მარჯვენას თვისის წინამძღვრისას, ჯერ უკურთხებელ მარჯვენას თვისის მიჯნურისა. მთლად დაჰკარგა ქალწულმა შემაკავებელი ძალა თვისი, ვეღარ მოაშორა მგზნებარე ბაგე, ძარღვიან ხელს ძლიერის ვაჟკაცისას; ზედ დააკვდა მას, დაამნდა მუხლმოდრეკილი.

შეთრთოლდა ჭაბუკი, აგორდა მის გულშიც სურვილთა ტალღა მძლევარი და ააძგერა იგი ძლიერად. აღავარდნილ ნაკადად მოაწვა სისხლი სახეზედ და აუნთო თვალები ცეცხლით შემწველით. ენა აღექვა გამშრალ სასაზედ. მარცხენა მკლავი თავის თავად გაეშალა რაინდს ქალწულის მოსახვევად. დახარა ვნებამ, ვით მუხა ნორჩი ქარიშხლის ძალამ. შეეთო ბაგით სუნნელოვან თმას ქალწულისა. ეჰა წუთი ლამაზი, წამი, რომელს შეეძლო ტკბილ ცხოვრების კვალზედ წარემართა ქალყრმის ცხოვრება. უკვე ვიხილე მათ შეწებებულ თავთა ზედან მაკურთხებელი მარჯვენა ყოვლად კეთილისა; გაიხსნა კიდეც მზიური ბაგე სახიერისა წარმოსათქმელად მათ დალოცვისა:

— იხარებდით, აღორძინდით, განმრავლდით, აღავსეთ ქვეყანა თქვენის ნაშენით!

ახ! ვაჟკაცის უხეშმა ნებისყოფამ დასძლია ლამაზ გრძნობათა წამიერი გამარჯვება, კვლავ შესძლო მან მძლედ გაბრძოლება, შეიბრტყა მედგრად და სიყრმით აღებულ სავალზედვე გადასტყორცნა ჭაბუკი ღელვილი.

— განვედი ჩემგან, მაცდურო ბილწო! განმეშორე მე, ჭურო ცოდვისავ, ახალო ევავ! წარმოსთქვა მწირმა.

და განდრკა ქალისაგან, უკუდგა შორსა, კედელს მიეყრდნო, თებრონია იქვე იყო, იმავ ადგილას. მოიხარა იგი წელში, ძირს დაუშვა თავი შემძიმებული. ცრემლი დაადინა წინ-გაწვდილ თვის ხელებს. იცი? მაშინ იმ ხელებშივე ეპირა მარჯვენა თვისის საყვარელისა, გარნა უკვე მარჯვენა მკვდარი, მისთვის უსულო, გაციებული ცრემლებს აფრქვევდა ლამაზ გრძნობათათვის მიცვლილ ხელს უეშხო ჭაბუკისას, გამოთხოვების ცრემლებს მდნარ ტყვიასავით მძიმეს და გამწველს.

ამ საბრალო სანახაობამ სძლია უბეხი: მიუახლოვდა მწუხარების ქანდაკებას, ხელი შეახო, დასვა, წყალი მიუპყრა. არ შესვა მიწვდილი სიგრილე, თავი მიიდრიკა. გაემართა კართაკენ. თავდახრილი მიდიოდა, წელ-გატეხილი. რყეულ ნაბიჯსა სდგამდა, როგორც მოხუცი ღონე-მიხდილი. მწირი გულცივად უყურებდა მიმავალს, თითქმის მტრულად, მაგრამ როცა თვალი მოჰკრა, როცა რომ ქალს განსაცდელის წუთს თმა შესთრთოლოდა, შესჭალარებოდა, ტკივილი იგრძნო გულისა უცნაური; ფეხი წარსდგა წინ, მაგრამ ბაგე ვერ გახლიჩა სიტყვის სათქმელად. გაიარა ქალწულმა კარი, განშორდა ჭაბუკს. თებრონიასთან ერთად განშორდნენ გრიგოლს სიამენი ამა სოფლისა. მთლად უარჰყო იმან ერთი ნაწილი თავის ბუნებისა, თვისი ნივთიერის არსებისა. შეუდგა აწ განვითარებას მხოლოდ სულისას.

— გგონია კარგადა ქმნა ეს იმან? დარწმუნებული ხარ, მცნება უფლისა აასრულა მან? ნუ იფიქრებ! ღმერთო ჭკუა არ ეყოვლება. იმან შეუქმნა შენ ხორციელი და ჩაგბერა სული უკვდავი. ორთ ბუნება შენი განუყრელად შეერთებული. უნდა დაჰმორჩილდე ნებას ყოვლად ბრძენ შემოქმედისას: გაყვანდე ხორციელიც და სულიერიც შენი არსება, იზრუნო მათზედ, განავითარო. განგებამაც ესე განაწესა: მიეცა უნდება ხორცისათვის და მცნება სულისათვის. გახსოვდეს!

— მახსოვს! მაგრამ რა ვუყო, ოდეს ხორცი ეწინააღმდეგება სულს, შეამძიმებს მას, აბრკოლებს აღმა-ფრენაში.

— ნუ იტყვი! სული და ხორცი განუყრელად არიან ერთქმნილნი და განვითარების გზაზედ ეხმარებიან ერთმანეთს. უთანხმოება მათ შორის თუ წინააღმდეგობა მხოლოდ ნაკლია ერთის მათგანის შეუსაბამოდ ზრდისა, სიბოროტე ერთის უზომო ღელვისა. უნდა შეაწყო, შეათანხმო, შეახმატკბილო ეს სიმები შენის არსებისა. როგორ შეიძლება უკულმებელ ჰყო ერთი მათგანი, განზრახ გაწყვიტო?! იგულე ადამიანი ორ სახედ ერთისა და იმავე განუყოფელის არსებისა. ვერავინ გაჰყრის სამუდამოდ ერთქმნილ ხორცს და სულს ვერც ამ ქვეყნად, ვერც თუ იმ ქვეყნად.

— ვერც თუ იმ ქვეყნად?!

— ვერც იმ ქვეყნად. ხორციც ვითარდება, წმიდავდება, უკვდავ იქმნება, სამარადისო ყოფნას ეზიარება, ვით სხეული სრულის ღმერთ-კაცისა, ოღონდ აამაღლე იგი, განავითარე, ჰაეროვან ჰყავ, ნათლით შემოსე, დაუახლოვე ღმერთს განკაცებულს. იქმენ ვექ-ღმერთ!

— როგორ შემიძლიან?!

— განავითარე გონივრულად ხორცი მშვენიერი, ნუ უარჰყოფ მის მისწრაფებას, მაგრამ ნუ სჭარბობ. განიძარცვავ თანისთანობით ხორცთა მშვენიერს და შეიმოსავ ქამთა დენაში, ხორცსა მშვენიერს, სულის შესაფერს.

— ძნელი იქნება, შეუძლებელი!

— ადამიანი სახეა ყოვლად შემძლებელი შემოქმედებისა, მისთვის არაფერია შეუძლებელი!..

**ვასილ ბარნოვი.**

(შემდეგი იქნება).


# ებრაელთა სალოცავის კურთხევა

[illegible]

3—2400—3

მზრუნველი კომიტეტი ხაიმ შათაშვილი

ახლად მოწყობილი სტამბა

„ხელოვნება“

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკანცელარიო საქმეებს და გამოცემებს, შესრულება [illegible]

საყურადღებოდ სოფლის წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—19)


## მატარებლების მიმოსვლა

11 [illegible]ან

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო სალ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—სალ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა სალ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო სალ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა სალ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო სალ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა სალ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**
იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

**თბილისიდან-მცლაანამდე.**

საგარეჯო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საგარეჯო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საგარეჯო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში სალ. [illegible] 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წყნორის-წყლამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)


ექიმი

ა. მ. კაკაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგისა და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მუხრანიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და სხვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბნი უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—17—92.

ხამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონი, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირას და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—43